



ქალების,
ბავშვები და
მთნიკური
უმცირესობების უზღვევა



2017



ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებები

ქვემო ქართლი, კახეთი



2017

თბილისი

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

ავტორები: თამარ ავალიანი, ნინო ტლაშაძე

რედაქტორი: ალექო ცეციტიშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხელისუფლება კი პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე.

მისამართი:

0160 თბილისი, მ. ქანთარია ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48

ფაქსი: (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: hride@hridc.org

ვებ-პორტალი: <http://www.humanrights.ge> ; <http://www.hridc.org>

წინამდებარე ანგარიში მომზადდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მიერ დაფინანსებული პროექტის „ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი.

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.



USAID
აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო



EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

სარჩევი

შესავალი	5
პროექტის შესახებ	5
მთავარი მიზნები და ტენდენციები	5
ქალთა უფლებები და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ქვემო ქართლსა და კახეთში	7
ოჯახში ძალადობა	7
ხარვეზები ოჯახში ძალადობის საქმეების გამოძიების დროს.....	8
ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებში განთავსების პრობლემა	10
პოლიციის მიერ შემაკავებელი ორდერების გამოყენების პრაქტიკა.....	10
არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობა და ფემიციდი.....	12
ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიერ სასამართლოში განქორწინების ინიცირება, ალიმენტისა და ბავშვის ადგილსამყოფელის განსაზღვრის მოთხოვნა.....	13
მომალადე პოლიციელები	13
ქალი პატიმრების პრობლემა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით	13
ქალის გენიტალიების დასახიჩრების შემთხვევები კახეთის რეგიონში	15
ეთნიკური უმცირესობების უფლებები.....	16
ეთნიკური უმცირესობების მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული.....	17
ბოშების, როგორც მოწყვლადი ეთნიკური ჯგუფის, პრობლემები	17
ეთნიკური ოსების უფლებები და წვდომა მართლმსაჯულებაზე.....	18
რელიგიური უმცირესობების უფლებები.....	19
უცხოელი მსჯავრდებულების მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებაში.....	20
რეკომენდაციები	22

შესავალი

პროექტის შესახებ

ადამიანის უფლებათა ცენტრმა „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ, განახორციელა პროექტი „ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში“. პროექტი მიზნად ისახავდა მოწყვლადი ჯგუფების, ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ხელშეწყობას საქართველოს რეგიონებში, კერძოდ - ქვემო ქართლსა და კახეთში.

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონში და თბილისში სულ 883 ბენეფიციარს გაუწია იურიდიული კონსულტაცია. სასამართლოში წარმომადგენლობა განხორციელდა 12 სტრატეგიულ საქმეზე; რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, გურჯაანის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს, ახმეტის, ყვარლის, თელავის და ლაგოდეხის 15 სოფელში გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები და ბენეფიციარებს ადგილზე გაეწიათ იურიდიული კონსულტაცია, რეგიონული ტელევიზიების მეშვეობით მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობის შესახებ და გაშუქდა რეგიონში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები. ამავე დროს, საერთო მაუწყებლობის ტელევიზიებში განთავსდა სოციალური ვიდეორგოლები, რითაც სამიზნე ჯგუფებს მიეწოდა ინფორმაცია უფასო იურიდიული დახმარების სერვისის თაობაზე.

პროექტის ფარგლებში იდენტიფიცირებული სტრატეგიულის საქმეები შეეხებოდა ქალთა მიმართ ძალადობის ისეთ ფაქტებს, როგორც არის ოჯახში ძალადობა, ადრეული ქორწინება, ფემიციდი და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული პრობლემები. ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის საქმეები შეეხებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლების ხელმისაწვდომობას, საკუთრების უფლებისა და რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების დაცვას.

მთავარი მიგნებები და ტენდენციები

პროექტის განხორციელებისას გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც აფერხებენ ქალების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას და მათ მისაწვდომობას მართლმსაჯულებაზე.

ქალთა მიმართ ძალადობის 20 საქმეზე, რომელიც ორგანიზაციამ აწარმოა ადგილობრივ საერთო სასამართლოებში, იკვეთება პოლიციელთა მხრიდან

სამსახურებრივი გულგრილობისა და გადაცდომის ფაქტები. ერთ-ერთ საქმეში აღმოჩნდა, რომ ქალის მკვლელობა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ოჯახში ძალადობის ფაქტზე არასათანადო და დაგვიანებული რეაგირების შედეგად მოხდა. ორ საქმეზე, რომელიც არასრულწლოვან გოგონათა გაუპატიურებას შეეხებოდა, ძლიერი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმის გამო, დაზარალებულებმა თვითმკვლელობა სცადეს. არც ერთ საქმეზე ძალადობის ჩამდენი პირი არ არის დაკავებული.

ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოძიების სსკ-ის სპეციალური მუხლებით დაწყება კვლავ პრობლემას წარმოადგენს. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო ზოგადი მუხლებით, როგორცაა: სსკ-ის 125-ე (ცემა), 118-ე (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) და 120-ე (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) მუხლები. თუმცა, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვის საფუძველზე, მითითებული მუხლები გადაკვალიფიცირდა ოჯახში ძალადობის მუხლზე (სსკ-ის 126¹). ასევე, კვლავ პრობლემად რჩება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საკითხი.

ძალადობის გამომწვევ ფაქტორებში სჭარბობს გენდერული სტერეოტიპები, ქალთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა, პატრიარქალური დამოკიდებულებები ქალთა უფლებების შესახებ და ქალთა ინფორმირებულობის დაბალი დონე მათი უფლებების თაობაზე. ასევე, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ადრეული ქორწინების პრობლემა და ეკონომიკური დამოკიდებულება მოძალადეზე. მოძალადეების ნაწილს შეადგენდნენ უმუშევრები ან ფინანსური პრობლემების მქონე მამაკაცები.

ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში, პრობლემას წარმოადგენს ენობრივი ბარიერით გამოწვეული კანონისა და მართლმსაჯულების განმახორციელებელი ინსტიტუციების შესახებ ცოდნის სიმწირე, რის გამოც მათ არ გააჩნიათ განათლების, საკუთრების უფლების, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სერვისებზე სათანადო ხელმისაწვდომობა. ენობრივი ბარიერი ასევე იზოლაციაში აქცევს ამ ჯგუფებს და ხელს უშლის ინტეგრაციის პროცესს. გარდა ამისა, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ინსტიტუციონალიზებული სტერეოტიპები და მიკერძოებულობა იწვევს არასათანადო მოპყრობას ისეთ საქმეებზე, რომელიც ეხება ეთნიკური უმცირესობების მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებას.

რელიგიური უმცირესობებისთვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას საკულტო ნაგებობების მშენებლობის ნებართვის მოპოვება წარმოადგენს. მშენებლობის ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები, ხშირ შემთხვევაში, არ ასაბუთებენ გადაწყვეტილებებს ან ხელოვნურად აჭიანურებენ ნებართვის გაცემის პროცესს.

ქალთა უფლებები და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ქვემო ქართლსა და კახეთში

ოჯახში ძალადობა

პროექტის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა აწარმოა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული 20 საქმე, სადაც იცავდა ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივ ინტერესებს ადგილობრივ სასამართლოებში, პროკურატურასა და სხვა უწყებებში. ოჯახში ძალადობის თემაზე ორგანიზაციის იურისტებმა გასცეს 369 იურიდიული კონსულტაცია. საქმეებში ადგილი ჰქონდა ძალადობის სხვადასხვა ფორმებს: ფიზიკურ, ფსიქოლოგიურსა და ეკონომიკურ ძალადობას. თუმცა, ოჯახში ძალადობის საქმეთა უმრავლესობა ეხებოდა ფიზიკურ ძალადობას. ოჯახში ძალადობის მსხვერპლები იყვნენ ძირითადად 26-45 წლის ქალები. ძალადობას, ძირითადად, ახორციელებდნენ მეუღლეები და ყოფილი მეუღლეები.

საქმეთა ანალიზმა გვაჩვენა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები წლების განმავლობაში იყვნენ მეუღლეთა ძალადობის მსხვერპლები. ბენეფიციართა ნაწილს ჰყავდა არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც ძალადობრივ გარემოში იზრდებოდნენ. რიგ შემთხვევებში, მოძალადე მეუღლე არ აძლევდა მსხვერპლს შვილებთან ურთიერთობის საშუალებას. მსხვერპლი ტოვებდა სახლს, ხოლო არასრულწლოვანი შვილები რჩებოდნენ მოძალადე მამასთან, რადგან დედას არ ჰქონდა თავშესაფარი და შვილების წაყვანა არ შეეძლო. რიგ შემთხვევებში, ერთი შვილი რჩებოდა მოძალადესთან, ხოლო მეორე მიჰყავდა მსხვერპლს. პროექტის ფარგლებში წარმოებულ ოჯახში ძალადობის საქმეებში არსებითად ხელყოფილი იყო ბავშვთა საუკეთესო ინტერესები. ხშირად ბავშვები დედის მიმართ განხორციელებული ძალადობის თვითმხილველები იყვნენ, რაზეც ისინი პროექტის იურისტებთან საუბრობდნენ. ბავშვები აღწერდნენ დედის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებს. ძალადობის მსხვერპლს ორ ბავშვს ფსიქოლოგის დახმარება დასჭირდა. საქმეთა ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ქალებთან ერთად ოჯახში ძალადობის მსხვერპლები იყვნენ ბავშვებიც, რომლებიც მოძალადეებისგან ფსიქოლოგიურ ძალადობას და ზეწოლას განიცდიდნენ.

ძალადობის გამომწვევ ფაქტორებში სჭარბობს გენდერული სტერეოტიპები, ქალთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა, პატრიარქალური დამოკიდებულებები ქალთა უფლებების შესახებ და ქალთა ინფორმირებულობის დაბალი დონე მათი უფლებების თაობაზე. ასევე, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ადრეული ქორწინების პრობლემა და ეკონომიკური დამოკიდებულება მოძალადეზე. მოძალადეების ნაწილს შეადგენდნენ უმუშევრები ან ფინანსური პრობლემების მქონე მამაკაცები.

დადებით ტენდენციას წარმოადგენს ის, რომ პროექტის მიმდინარეობისას, შესაბამისი სოციალური რეკლამის განთავსების შემდგომ, 2016 წლის

სექტემბრიდან, ადამიანის უფლებათა ცენტრში იმატა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართვიანობამ. ქალთა უმრავლესობა ითხოვდა მოძალადე მეუღლესთან განქორწინებას, შვილთათვის აღიშენების დანიშვნას და შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას. მსხვერპლ ქალთა შედარებით მცირე ნაწილი ითხოვდა მოძალადე მეუღლის წინააღმდეგ პროკურატურისთვის საჩივრით მიმართვას. მსხვერპლი ქალები მოძალადე მეუღლეთა მიმართ სისხლის სამართლის მექანიზმის გამოყენებას სიფრთხილით ეკიდებოდნენ და არგუმენტად მოჰყავდათ ის, რომ არ ჩაითვლებოდა კარგ ტონად მათი შვილების ბიოლოგიური მამის წინააღმდეგ პროკურატურისთვის სარჩელით მიმართვა. დაფიქსირდა შემთხვევები, რომ სრულწლოვანი შვილები უკრძალავდნენ დედას პროკურატურისთვის საჩივრით მიმართვას მათი მამის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, პროექტის მიმდინარეობამ აჩვენა, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრის ბენეფიციართა უმეტესობა ოჯახში ძალადობას არ აღიქვამდა, როგორც პირადულ საკითხს და მასზე საუბრობდა, როგორც საზოგადოების პრობლემაზე.

ხარვეზები ოჯახში ძალადობის საქმეების გამოძიების დროს

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები ოჯახში ძალადობის საქმეებზე საჩივრებით მიმართავდნენ შსს-ს, პროკურატურას და ითხოვდნენ ოჯახში ძალადობის საქმეთა გამოძიებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური მუხლებით, რაც ოჯახში ძალადობას ეხება. ეს მუხლებია: სსკ-ის 126¹-ე (ოჯახში ძალადობა) და 11¹-ე (პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის) მუხლები. ამ შემთხვევაში, ადვოკატების მიზანს გამოძიების ორგანოების მიერ ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოძიების სწორი პრაქტიკის დანერგვა და მსხვერპლთა ადეკვატური დაცვის ხელშეწყობა წარმოადგენდა. პროექტის მიმდინარეობისას, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო ზოგადი მუხლებით, როგორცაა: სსკ-ის 125-ე (ცემა), 118-ე (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) და 120-ე (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) მუხლები. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვის საფუძველზე, მითითებული მუხლები გადაკვალიფიცირდა ოჯახში ძალადობის მუხლზე (სსკ-ის 126¹). პროექტის საქმეთა ანალიზიდან ირკვევა, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოძიების სსკ-ის სპეციალური მუხლებით დაწყება კვლავ პრობლემას წარმოადგენს.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება კვლავ პრობლემად რჩება. ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატებმა არაერთხელ მიმართავეს პროკურატურის ორგანოებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. დაზარალებულის სტატუსს შედარებით დროულად ანიჭებენ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლებს, ხოლო ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ძალადობისა და მუქარის მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება პრობლემად

რჩება. ადამიანის უფლებათა ცენტრის ძალისხმევით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლების ნაწილს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა. დაზარალებულის სტატუსის მინიჭება მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ ამ სტატუსზე დამოკიდებულია სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომა და მათი გაცნობა. ვინაიდან ოჯახში ძალადობის მსხვერპლების ნაწილს არ აქვთ დაზარალებულის სტატუსი, ისინი მოკლებულნი არიან სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობას. ამ კუთხით, განსაკუთრებით პრობლემებს აწყდებიან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მსხვერპლები, რომელთაც დამატებით, ენობრივი ბარიერი ექმნებათ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობასთან დაკავშირებით.

საქმეთა ანალიზიდან ვლინდება, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საქმეებში, რომელთაც აქვთ დაზარალებულის სტატუსი, სავარაუდო მოძალადეებისათვის არ ხდება ბრალის წარდგენა და საქმეთა სასამართლოში წაღება. არის საქმეები, როდესაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლები ითხოვენ ძალადობის მოწმეთა დაკითხვას, მაგრამ - უშედეგოდ. გამოძიება არ ინტერესდება მოწმეთა (თვითმხილველთა) დაკითხვით რიგ საქმეებზე.

პრობლემას წარმოადგენს მსხვერპლისათვის ინფორმაციის მიწოდება ოჯახში ძალადობის ფაქტის გამოძიების შედეგების შესახებ, ასევე - დაზარალებულის უფლება-მოვალეობების გაცნობა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საქმეების გამოძიების გაჭიანურებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის საჩივრებით მიმართვას აპირებს.

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრს მიმართავდნენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები, რომლებიც მოძალადე მეუღლეებთან განქორწინებას და შვილების სასარგებლოდ მოძალადის მიმართ ალიმენტის დაკისრებას ითხოვდნენ. ალიმენტის შესახებ სარჩელები კანონით გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადასახადისგან, მაგრამ ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებს მოუწიათ განქორწინებისთვის გათვალისწინებული ბაჟის გადახდა, 50 ლარის ოდენობით. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებულ საქმეებში დაფიქსირდა შემთხვევები, როცა ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა ვერ შეძლეს მოძალადე მეუღლეებთან განქორწინება, რადგან არ ჰქონდათ 50 ლარის ოდენობით ბაჟის გადახდის შესაძლებლობა. ეს ქალები იყვნენ ძალიან მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში, მათ დატოვეს საკუთარი სახლი, ცხოვრობდნენ ნათესავებთან ან თავშესაფარში, ეკონომიკურად დამოკიდებულნი იყვნენ მოძალადეზე და არ შეეძლოთ დამოუკიდებლად საკუთარი თავისა და შვილების რჩენა.

დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლს სურდა მოძალადე მეუღლესთან ქონების გაყოფაზე დავა, მაგრამ ვერ მოახერხა

სარჩელით სასამართლოსათვის მიმართვა ქონებრივ დავებზე დაწესებული ბაჟის დიდი ოდენობის გამო.

ამ კუთხით, განსაკუთრებულ მოწყვლად ჯგუფს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მსხვერპლი ქალები წარმოადგენენ, რომლებიც ენობრივი ბარიერის გამო, მოკლებულნი არიან სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების, მათ შორის, სასამართლოში სარჩელის შეტანის შესაძლებლობას. ისინი არ არიან ინფორმირებულნი საკუთარი უფლება-მოვალეობებისა და უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებული საქმეებიდან გამოვლინდა, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელმა ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა არ იცოდნენ დამცავი და შემდგომი ორდერების შესახებ, ასევე, ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით პოლიციისათვის მიმართვისა და ბავშვის ადგილსამყოფელის შესახებ სასამართლო დავის დაწყების შესაძლებლობის თაობაზე. ძალადობის მსხვერპლ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა განმარტებით, მათ თემში მიღებული არ არის ოჯახური დავის გამო სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის (პოლიცია, სასამართლო) მიმართვა. ამ ტიპის პრობლემებს ისინი თემშივე „აგვარებენ“.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებში განთავსების პრობლემა

პროექტის ფარგლებში, დაფიქსირდა შემთხვევა, როცა ქვემო ქართლში მცხოვრები ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ვერ განთავსდა თავშესაფარში, რეგიონში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის არარსებობის გამო. ასევე, რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ მოხერხდა ძალადობის მსხვერპლის მოთავსება თბილისის თავშესაფარში ადგილის არქონის გამო. თბილისის თავშესაფარში ადგილის გათავისუფლებამდე მსხვერპლი რამდენიმე დღით ერთ-ერთ მონასტერში ცხოვრობდა.

სახელმწიფო თავშესაფრები ფუნქციონირებენ 4 ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, გორსა და სიღნაღში. სოფლად მცხოვრებ ქალებს უწევთ საკუთარი სოფლებისა და დასახლებების დატოვება, რათა შეძლონ ძირითადად ქალაქებში დაფუძნებული თავშესაფრებით სარგებლობა. პრობლემას წარმოადგენს თავშესაფრების ნაკლებობა საქართველოში. მაგალითად ქვემო ქართლში არ არის თავშესაფარი.

პოლიციის მიერ შემდგომი ორდერების გამოყენების პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ცენტრის დაცვის ქვეშ მყოფმა, სოფლად მცხოვრებმა რამდენიმე ბენეფიციარმა, არაერთხელ მიმართა პოლიციას ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებასთან დაკავშირებით. შემდგომი ორდერის გამოცემის ნაცვლად, სოფლებში ზოგიერთი პოლიციელის მიერ კვლავ გამოიყენება „ხელწერილების“ პრაქტიკა, რომლის მეშვეობითაც დამნაშავე პირები პირობას

დებენ, რომ არ იძალადებენ მათ მეუღლეებზე. „ხელწერილს“ არ აქვს იურიდიული ძალა და მისი შეუსრულებლობა სამართლებრივ შედეგებს არ იწვევს. ასეთი „ხელწერილები“ ვერ უზრუნველყოფს მსხვერპლთა დაცვას და ხშირად მხოლოდ ამ ღონისძიების გამოყენებას ფატალურ შედეგებამდეც მივყავართ.

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი აწარმოებდა საქმეს, რომელიც 2016 წლის 12 ივლისს, ფონიჭალაში ქმრის მიერ 20 წლის გოგონას მკვლელობას ეხება. 2016 წლის 12 ივლისს დაახლოებით 19:00 საათზე, მსხვერპლმა გოგონამ და მისმა ბებიამ მიმართეს პოლიციას და განაცხადეს, რომ მოძალადემ მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და მოგვიანებით მოკვლით დაემუქრა. პოლიცია კი მოძალადისათვის მხოლოდ გაფრთხილების მიცემით შემოიფარგლა. პოლიციისთვის მიმართვიდან რამდენიმე საათში, მოძალადე ქმარმა ახალგაზრდა გოგონა დანით მოკლა.

ამასთანავე, შემაკავებელი ორდერის გამოცემის ერთ თვემდე ვადას და ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებისას პოლიციელის მიერ ორდერის გამოცემის განუზომელ და დაუბალანსებელ დისკრეციას ადამიანის უფლებათა ცენტრი გაუმართლებლად მიიჩნევს. აღნიშნული პრობლემა მოუფვარებელი რჩება საქართველოს პარლამენტში წარდგენილ სტამბულის კონვენციის რატიფიცირების საკანონმდებლო პაკეტშიც.

ოჯახში ძალადობის შესახებ კანონი პოლიციას შესაძლებლობას აძლევს, ბოროტად გამოიყენოს დისკრეცია და ოჯახში ძალადობის შემთხვევის იდენტიფიცირების მიუხედავად, სუბიექტური შეხედულებებიდან გამომდინარე (მაგალითად, თუ მოძალადე მისი ახლობელია, მეგობარია ან სხვა.), შემაკავებელი ორდერი არ გამოსცეს. უნდა აღინიშნოს, რომ შემაკავებელი ორდერი ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებისა და მსხვერპლთა დაცვის მინიმალურ სტანდარტს წარმოადგენს. თუ პოლიცია ბოროტად იყენებს მის დისკრეციას და იდენტიფიცირებულ ოჯახში ძალადობის ფაქტზე არ გამოსცემს შემაკავებელ ორდერს, მაშინ იყენებს ე.წ. გაფრთხილებას, რაც სამართლებრივ მექანიზმს არ წარმოადგენს და მის შეუსრულებლობას არანაირი იურიდიული შედეგი არ მოჰყვება.

2016 წლის დეკემბერში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით პოლიციის განუსაზღვრელი დისკრეციული უფლებამოსილების გაუქმება მოითხოვა. ასევე, სარჩელში დასაბუთებულია შემაკავებელი ორდერის მხოლოდ ერთ თვემდე გამოცემის არაგონივრულობა, რაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვას ვერ უზრუნველყოფს.

არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობა და ფემიციდი

პროექტის მიმდინარეობისას, ადამიანის უფლებათა ცენტრს წარმოებაში ჰქონდა არასრულწლოვან გოგონათა მიმართ სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების 2 და ფემიციდის 1 საქმე.

არასრულწლოვანთა გაუპატიურების შემთხვევები მოხდა გურჯაანისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში. გამოძიება მითითებულ საქმეებზე ჭიანჭურდება. მსხვერპლებს, რომლებიც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები არიან, მინიჭებული არ აქვთ დაზარალებულის სტატუსი და არ აქვთ საშუალება, რომ გაეცნონ საქმის მასალებს. ძალადობის მსხვერპლებს არ აქვთ ინფორმაცია საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ. ერთადერთი პასუხი საგამოძიებო ორგანოებიდან არის ის, რომ გამოძიება მითითებულ საქმეზე გრძელდება. საქმეებიდან იკვეთება ტენდენცია, რომ ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულში მონაწილეობას იღებენ არა მხოლოდ კონკრეტული მოძალადეები, არამედ მათი ხელშემწყობი თანასოფლელი ქალები და მამაკაცები. მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლი კონკრეტულ მოძალადეებს სახელებითა და გვარებით ასახელებს და ითხოვს მოძალადეთა ამოცნობის საგამოძიებო მოქმედებებს, პოლიცია თავს არიდებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას და არ იბარებს დაკითხვაზე ამ პირებს. მოძალადეები კი დღემდე სოფელში დაუსჯელად დადიან.

ძალადობის მსხვერპლებს აქვთ მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა, საჭიროებენ ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას, რისი ფინანსური საშუალებაც მათ ოჯახებს არ გააჩნიათ. ამასთანავე, ძალადობის მსხვერპლმა არასრულწლოვნებმა, მძიმე სტრესის გამო შეწყვიტეს სკოლაში სიარული. ძალადობის მსხვერპლები, სხვადასხვა მიზეზის გამო, მოკლებულნი არიან სოციალურ მუშაკთან ურთიერთობასა და ფსიქოლოგთან კონსულტაციის შესაძლებლობას. ერთი მხრივ, მათ არ აქვთ ინფორმაცია აღნიშნული სერვისების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, არ აქვთ ამის მატერიალური შესაძლებლობა. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმოებულ საქმეებში ორმა არასრულწლოვანმა მსხვერპლმა გოგონამ თვითმკვლელობა სცადა.

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრს წარმოებაში ჰქონდა ერთი ფემიციდის შემთხვევა, როდესაც მეუღლემ 20 წლის ქალი არასრულწლოვანი ძმის თანდასწრებით მოკლა. 2016 წლის 12 ივლისს, დაახლოებით 19:00 საათზე, მსხვერპლმა ქალმა და მისმა ბებიამ მოძალადის მიერ მათ მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობისა და მკვლელობის მუქარის ფაქტზე დახმარებისათვის პოლიციას მიმართეს. პოლიცია მოძალადისათვის მხოლოდ გაფრთხილების წერილის მიცემით შემოიფარგლა. პოლიციის მხრიდან სამსახურეობრივ გულგრილობას შედეგად ახალგაზრდა ქალის მკვლელობა მოჰყვა. იმავე დღეს, დაახლოებით 23:00 საათზე, მეუღლემ 20 წლის ქალი არასრულწლოვანი ძმის თანდასწრებით მოკლა. ადამიანის უფლებათა ცენტრის

მიმართვის საფუძველზე, თბილისის პროკურატურამ პოლიციელის მიმართ გამოძიება სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე დაიწყო. მიმდინარეობს გამოძიება.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიერ სასამართლოში განქორწინების ინიცირება, ალიმენტისა და ბავშვის ადგილსამყოფელის განსაზღვრის მოთხოვნა

პროექტის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრს სამართლებრივი დახმარების თხოვნით მიმართა ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა 7-მა ქალმა, რომლებიც მოძალადე მეუღლეებთან განქორწინებასთან და ალიმენტთან ერთად სასამართლოში ბავშვის ადგილსამყოფელის განსაზღვრას ითხოვდნენ. ქალები ჩიოდნენ, რომ მოძალადეებმა მათ ბავშვების სახლიდან წამოყვანის უფლება არ მისცეს. მათ სურდათ სასამართლოს ძალით ბავშვის ადგილსამყოფელის განსაზღვრა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებმა ძალადობის მსხვერპლებს მოუმზადეს სარჩელი დედასთან ბავშვის ადგილსამყოფელის განსაზღვრის შესახებ. ასევე, შუამდგომლობით მიმართეს სასამართლოს დროებითი ბრძანების გამოსაცემად, იმისათვის, რომ დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე ბავშვის ადგილსამყოფელად დედის საცხოვრებელი ადგილი განსაზღვრულიყო. სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნა დააკმაყოფილა. საქმეთა განხილვა გრძელდება.

მოძალადე პოლიციელები

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრს მომართა ორმა ქალმა, რომლებიც ოჯახში ძალადობაში, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლაში პოლიციელ მეუღლეს ადანაშაულებდნენ. საქმეებიდან გამოვლინდა, რომ პოლიციელი მოძალადეები ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ მეუღლეებს და აშინებდნენ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. თუ ქალები პოლიციას დახმარებისთვის მიმართავდნენ, არაფერი გამოუვიდოდათ, რადგან თავადაც პოლიციელები იყვნენ და სამსახურებრივ კონტაქტებს გამოიყენებდნენ. აღნიშნულ საქმეებში, ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა თავი შეიკავეს მოძალადე მეუღლეების მიმართ შსს-სა და პროკურატურისთვის მიემართათ შიშის ფაქტორის გამო. მსხვერპლები მხოლოდ სასამართლოსთვის განქორწინებისა და ალიმენტის მოთხოვნით შემოიფარგლნენ.

ქალი პატიმრების პრობლემა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი დახმარებით, მსჯავრდებულმა ნ.დ.-მ საკონსტიტუციო სასამართლოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის

მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის #55 ბრძანების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით მიმართა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებულ საკონსტიტუციო სარჩელში სადავოდ არის მიჩნეული სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანება, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ სამართლებრივ აქტს, რის საფუძველზეც ხორციელდება მსჯავრდებულები/ბრალდებულები პაციენტების გეგმიური სამედიცინო მომსახურება.

სადავო ბრძანების თანახმად, პაციენტი სამკურნალო დაწესებულებაში/ცენტრში გეგმიური წესით გადაჰყავთ სამედიცინო პროგრამაში მინიჭებული რიგითი ნომრის მიხედვით. საყურადღებოა, რომ ქალ მსჯავრდებულთათვის მოქმედებს რეფერალთა ერთიანი ელექტრონული რიგი, რაც ნიშნავს, რომ ქალი და მამაკაცი მსჯავრდებულები ერთიან ელექტრონულ რიგში არიან რეგისტრირებულნი. ეს პრაქტიკა შეუსაბამოა ბანგოკის წესებით გათვალისწინებულ გენდერთან დაკავშირებული სპეციფიკური ჯანდაცვის პრინციპებთან. ქალ პატიმართა მოპყრობის შესახებ გაეროს ბანგოკის წესების თანახმად, გაეროს პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების პრაქტიკაში განსახორციელებლად, ანგარიში უნდა გაეწიოს ქალი პატიმრების განსაკუთრებულ საჭიროებებს მათი გენდერ-სპეციფიური ჯანდაცვის უზრუნველყოფისას. ქალი პატიმრებისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას ინდივიდუალიზებული რეაბილიტაციის, მკურნალობისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის დაგეგმვა და განხორციელება. ამასთან, სადავო ბრძანება ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორობის პრინციპს, რაც გამოიხატება ქალი მსჯავრდებულებისადმი არადიფერენცირებულ მოპყრობაში.

მინისტრის #55 ბრძანებით ერთმანეთისგან არ არის გამოიჯნული ქალი და მამაკაცი მსჯავრდებულ/ბრალდებულები პაციენტების საჭიროებები, გენდერ-სპეციფიური მიდგომა ქალ პატიმართა დაავადებების გამოკვლევის, დიაგნოსტიკის და ოპერაციული მკურნალობისადმი. არ არის გათვალისწინებული ქალთა სპეციფიური დაავადებების (მაგალითად, საშვილოსნოს, მკერდის, საკვერცხის კიბო) სწრაფად პროგრესირებადი ხასიათი და ქალთა მდგომარეობა მენსტრუალური ციკლის პერიოდში. კერძოდ, ის, რომ ქალს არ შეუძლია მითითებულ პერიოდში გამოკვლევებზე და ოპერაციაზე გასვლა და კარგავს კუთვნილ რიგს, მას ხელახლა უწევს რიგში დარეგისტრირება. შესაბამისად, ქალი ასეთ მდგომარეობაში, ყოველ თვეში ერთხელ და ამ ყველაფრის გამო, სპეციფიურ, განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს. ასევე, არ არის გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ ქალი პატიმრების რაოდენობა რამდენჯერმე ნაკლებია მამაკაც პატიმართა რაოდენობაზე და შესაბამისად, გეგმიური რიგი ქალ

პატიმრებს გაცილებით გვიან უწევთ, ვიდრე მამაკაცებს, რაც არსებითად არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ქალებს მამაკაც პატიმრებთან შედარებით, რასაც არა აქვს გონივრული გამართლება.

ბრძანების მოქმედების პირობებში, ნებისმიერი მსჯავრდებული და ბრალდებული ქალის მიმართ არსებობს საფრთხე, რომ იგი შეიძლება გახდეს დისკრიმინაციისა და არასათანადო, არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. სასჯელადსრულების სამინისტროს #5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2016 წ. 29 სექტემბრის წერილის თანახმად, „გინეკოლოგიური დაავადებებით #5 დაწესებულებაში ირიცხება 111 პაციენტი“. საქართველოში დაახლოებით 272 ქალი პატიმარია. გამოდის, თითქმის ნახევარს აწუხებს გენდერ სპეციფიური-გინეკოლოგიური დაავადებები. სადავო ბრძანება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებსაც. არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას უთანაბრდება: თვეობით ქალი პატიმრების ლოდინი სამედიცინო რეფერალის ელექტრონულ რიგში გამოკვლევისათვის და ოპერაციაზე გაყვანისათვის; ქალთა სპეციფიური დაავადებების, მათ შორის, სწრაფად პროგრესირებადი დაავადებების უგულვებელყოფა; იგნორირება იმ ფაქტისა, რომ ქალ პატიმართა რაოდენობა რამდენჯერმე ნაკლებია მამაკაც პატიმართა რაოდენობაზე და ქალებს უწევთ თვეების განმავლობაში ლოდინი რიგის მიღწევამდე; ხშირად, დაგვიანებული გაყვანის გამო, პატიმრის სასწრაფო წესით სტაციონარში გაყვანა ხდება საჭირო. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად უნდა სცნოს სადავო ბრძანება და ქალი პატიმრებისთვის უნდა შეიქმნას რეფერალთა ცალკე ელექტრონული რიგი გენდერ-სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინებით.

ქალის გენიტალიების დასახიჩრების შემთხვევები კახეთის რეგიონში

2016 წლის 12 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც ყვარლის მუნიციპალიტეტში ქალის გენიტალიების დასახიჩრებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს რეაგირების აუცილებლობას შეეხებოდა. სახალხო დამცველის შეფასებით, „ქალის გენიტალიების დასახიჩრება უფლებადარღვევის უკიდურესი ფორმაა, რომელიც არღვევს ქალის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და წამების აკრძალვის უფლებებს“.

ქალის გენიტალიების დასახიჩრება წარმოადგენს ადამიანის უფლებებით დაცულ სფეროში გაუმართლებელ და უკიდურეს ჩარევას, რაც თავისი სიმძიმით, ადამიანის წამებას, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას უთანაბრდება. ამასთანავე, ამგვარი მოპყრობა საფრთხეს უქმნის ქალის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

რელიგიური ტრადიციით წამების გამართლება შეუთავსებელია ბავშვის უფლებების კონვენციასთან და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრეცედენტული სამართლის თანახმად, ვერანაირი რელიგიური რიტუალი ვერ ამართლებს წამების აკრძალვის აბსოლუტურ პრინციპს.

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე რეაგირება და მათი ეფექტური გამოძიება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს. საგამოძიებო ორგანოები ვალდებულნი არიან, შეისწავლონ ბავშვის (გოგონების) საუკეთესო ინტერესების ხელყოფის თითოეული ფაქტი და შესაბამისი რეაგირება მოახდინონ მათზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ამ დრომდე რატიფიცირებული არა აქვს ევროსაბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციაზე“, სადაც ცალკე მუხლი ეთმობა „ქალის გენიტალიების დასახიჩრებას“ (მუხლი 38), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არის მუხლები, რომელიც ადამიანის წამებას, არაადამიანურ მოპყრობას და ჯანმრთელობის დაზიანებას კრძალავს. აღნიშნული მუხლების გამოყენება შესაძლებელია კონვენციის რატიფიცირებამდე.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, შსს-ს და მოითხოვა, დაიწყო გამოძიება ყვარლის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფელში ქალთა (გოგონათა) გენიტალიების დასახიჩრების ფაქტებთან დაკავშირებით და განახორციელონ პრევენციული ღონისძიებები ქალთა ჯანმრთელობის ხელყოფისა და მათი სხეულის კონტროლის აღკვეთის მიზნით.

ასევე, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მიმართა პარლამენტს, დროულად განახორციელოს ევროსაბჭოს 2011 წლის სტამბულის კონვენციის - „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ რატიფიცირება, სადაც ცალკე მუხლი ეთმობა „ქალის გენიტალიების დასახიჩრებას“ (მუხლი 38).

ეთნიკური უმცირესობების უფლებები

ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში, პრობლემას წარმოადგენს ენობრივი ბარიერით გამოწვეული კანონისა და მართლმსაჯულების განმახორციელებელი ინსტიტუციების შესახებ ცოდნის სიმწირე, რის გამოც მათ არ გააჩნიათ განათლების, საკუთრების უფლების, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სერვისებზე სათანადო ხელმისაწვდომობა. ენობრივი ბარიერი ასევე იზოლაციაში აქცევს ამ ჯგუფებს და ხელს უშლის ინტეგრაციის პროცესს. გარდა ამისა, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ინსტიტუციონალიზებული

სტერეოტიპები და მიკერძოებულობა იწვევს არასათანადო მოპყრობას საქმეებზე, რომლებიც ეხება ეთნიკური უმცირესობების მიმართ სიძულვილით მოტივირებული საქმეების გამოძიებას.

ეთნიკური უმცირესობების მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული

ადამიანის უფლებათა ცენტრმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტი, რომელიც სიძულვილის ნიადაგზე პოლიციელთა მხრიდან ეთნიკურად ქისტი მოქალაქისათვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას ეხება. საქმეზე იკვეთება პოლიციელთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი, ეთნიკური სიძულვილით მოტივირებული ისეთი დანაშაულები, როგორცაა - წამება, არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოპყრობა. ასევე, აღსანიშნავია, რომ ზოგადად ასეთ საქმეებზე, პროკურატურა გამოძიებას იწყებს შაბლონური საფუძვლით, სსკ-ის 333-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და არა ისეთი სპეციალური მუხლებით, როგორცაა სსკ-ის 144¹-ე მუხლი (წამება), 144³-ე მუხლი (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა).

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლებს ხშირ შემთხვევაში არ ენიჭებათ დაზარალებულის სტატუსი ან მისი მინიჭება ჭიანურდება. როგორც წესი, პროკურატურის პასუხია, რომ გამოძიება გრძელდება, ხოლო პირისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, პასუხს გვაცნობებენ მოგვიანებით.

როგორც წესი, სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლებს ენობრივი თუ სხვა ბარიერების გამო არ აქვთ ან შეზღუდული წვდომა აქვთ სისხლის სამართლის საქმის მასალებზე. მათ აქვთ შეზღუდული ინფორმაცია გამოძიების შედეგების და მათი საპროცესო უფლებების შესახებ.

ბოშების, როგორც მოწყვლადი ეთნიკური ჯგუფის, პრობლემები

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა აწარმოა ექვსი საქმე, რომელიც ბოშათა უფლებების დაცვას შეეხებოდა. საქმეთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბოშა ბავშვებს აქვთ დაწყებითი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა. საჯარო სკოლები პირველ კლასში არ იღებენ ბავშვებს 12 წელს ზევით. რაც შეეხება კლას-კომპლექტების შექმნას, იგი არ ხორციელდება განათლების სამინისტროს მიერ, რაც არსებითად ხელყოფს ბავშვთა განათლების უფლებას. ბოშა ბავშვები, მათი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, გვიან შედიან სკოლაში. მათ არ ეძლევათ დაწყებითი განათლების მიღების შესაძლებლობა, განათლების სამინისტროს მიერ კლას-კომპლექტების პროგრამის განუხორციელებლობის გამო. შეხვედრების დროს გამოიკვეთა, რომ

მშობლებისთვის და ბავშვებისთვისაც უფრო მისაღები და კომფორტული იქნება ე.წ. მოძრავი სკოლების საპილოტე პროგრამების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები ივლიდნენ ბოშათა ჩასახლების ადგილებში და ჩაუტარებდნენ გაკვეთილებს ქართულ ენაზე წერა-კითხვის და მარტივი არითმეტიკის შესასწავლად. მსგავსი საპილოტე პროგრამა უმცირესობის საკითხთა ევროპულმა ცენტრმა (ECMI) წარმატებით განახორციელა თბილისში, გუდარეხის ქუჩაზე და ქობულეთში, გელაურის რაიონში მცხოვრები ბოშა ბავშვებისთვის. ამ პროგრამის ფარგლებში ბოშა ბავშვებმა, მიუხედავად ასაკისა, შეძლეს ქართულ ენაზე წერა-კითხვის შესწავლა.

ეთნიკურად ბოშა ბავშვებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფელში ექმნებათ სკოლამდე ტრანსპორტირების პრობლემა. 10 ბოშა ბავშვს უწევს რუსთავის სკოლაში სიარული. მათ ემსახურებათ ფასიანი სამარშრუტო ტაქსი, რომლის საფასურიც არის 40 ლარი ბავშვზე ყოველთვიურად. ბოშა მშობელთა ფინანსური მდგომარეობა მძიმეა და შესაბამისად, მათ სამარშრუტო ტაქსის მომსახურების ღირებულების გადახდის საშუალება არ აქვთ. ამიტომ, ხშირად ბავშვები სკოლაში ვერ დადიან. აქედან გამომდინარე, ადგილი აქვს ბავშვთა განათლების კონსტიტუციური უფლების შელახვას, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის კუთხით. ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი დახმარებით და განათლების სამინისტროსთან ადვოკატირებით, სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, დანიშნოს უფასო ტრანსპორტი გაჩიანიდან რუსთავამდე. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოეთში ადამიანის უფლებათა ცენტრის ვიზიტისას, გამოიკვეთა, რომ უფასო ტრანსპორტის დანიშვნა საჭიროა, მაგრამ ბოლომდე ვერ აგვარებს პრობლემას. უფრო ეფექტიანი იქნებოდა ბოშათა თემში ე.წ. მოძრავი სკოლების პროექტების განხორციელება - ადგილზე მივიდეს მასწავლებელი და ასწავლოს ბოშა ბავშვებს.

ბოშათა ოჯახები აწყდებიან სირთულეებს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და სოციალური დახმარების მიღების კუთხით; პროექტის განმავლობაში, წარმოებაში იყო ორი ბოშა ბიჭის საქმე, რომლებიც შშმ პირის სტატუსის დადგენას ითხოვდნენ. ერთ-ერთ პირს მატერიალური საშუალება არ აქვს სამედიცინო გამოკვლევების ჩასატარებლად შშმ პირის სტატუსის დასადგენად. ამიტომ, მისი საქმის წარმოება დროებით შეჩერებულია. რაც შეეხება მეორე პირს, ადამიანის უფლებათა ცენტრის დახმარებით, გაირკვა, რომ მას უკვე მინიჭებული ჰქონდა შშმ პირის სტატუსი.

ეთნიკური ოსების უფლებები და წვდომა მართლმსაჯულებაზე

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამართა რამდენიმე შეხვედრა ეთნიკურად ოს მოქალაქეებთან. ოს მოქალაქეებს არა აქვთ ინფორმაცია „რესტიტუციის შესახებ“ კანონის შინაარსზე. არც მათ და არც მათ ნაცნობებს არასოდეს მიუმართავთ სასამართლოსთვის ამ კანონის საფუძველზე. ადამიანის უფლებათა ცენტრის მხრიდან ინფორმაციის მიწოდებისა და სამართლებრივი

დახმარების შეთავაზების შემდეგ ერთ-ერთმა ქალმა ისურვა მიმართოს სასამართლოს ქალაქ რუსთავეში მისი მეუღლის სახლის ძალადობრივი ფორმით გასხვისების საქმის განსახილველად.

ეთნიკურად ოსი მოქალაქეების ძირითადი პრობლემები არის - გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ეთნოკონფლიქტების გაღვივების პარალელურად, ოსი მოსახლეობით დასახლებულ სოფლებში მოწყობილი ძალადობრივი ექსცესები, როდესაც მათ სხვადასხვა ფორმით აიძულებდნენ დაეტოვებინათ ან უკეთეს შემთხვევაში - გაეყიდათ თავიანთი საცხოვრებელი სახლები და გადასახლებულიყვნენ რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ - ვლადიკავკაზში (იმ დროისთვის - ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა).

რელიგიური უმცირესობების უფლებები

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა აწარმოა საქმეები რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის მიმართულებით. საქმეები შეეხება მეჩეთების მშენებლობის ნებართვის მოპოვებას. საკულტო თუ სხვა ტიპის ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები კვლავ პრობლემად რჩება საქართველოში. რელიგიური უმცირესობები ხშირად მშენებლობის ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან ნებართვის მიღებაზე დაუსაბუთებელ უარს იღებენ და წინააღმდეგობებს აწყდებიან.

მაგალითად, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეითარაფჩიში, სადაც 800 ადამიანი ცხოვრობს, არ არის მეჩეთი. უახლოესი მეჩეთი სოფლიდან 15 კმ-ში მდებარეობს. შესაბამისად, მუსლიმური დღესასწაულების დროს, სოფლის მოსახლეობა ვერ ახერხებს მეჩეთში წასვლას. სოფლის მოსახლეობა ბოლო წლების განმავლობაში უშედეგოდ ითხოვს მათ სოფელში მეჩეთის აშენების ნებართვას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან. როგორც ბეითარაფჩის მოსახლეობა განმარტავს, მათ ესაჭიროებათ სახელმწიფოსგან მიწის გადაცემა სარგებლობაში, გრძელვადიანი უზურფრუქტით, რათა შეძლონ საკუთარი სახსრებით მეჩეთის აშენება. სოფელ ბეითარაფჩის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მუსლიმური რელიგიის მიმდევარია. ანალოგიური პრობლემა ფიქსირდება ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ თივში, სადაც მუსლიმი მოსახლეობა ითხოვს მეჩეთის მშენებლობის ნებართვას. საქმის წარმოება მიმდინარეობს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და მუსლიმურ სამმართველოში. მეჩეთების მშენებლობის ნებართვის მიღება დღემდე ჭიანჭურდება. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები იმიზეზებენ, რომ არა აქვთ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს რეკომენდაცია, მშენებლობის ნებართვის შესახებ წარმოების დაწყების მიზნით, ხოლო თავად სააგენტო მუსლიმური სამმართველოს ჩართულობას აუცილებლად მიიჩნევს. საქმის განხილვა დღემდე ჭიანჭურდება, როგორც გამგეობებში, ისე - სააგენტოში.

უცხოელი მსჯავრდებულების მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებაში

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები იმყოფებოდნენ #17 და ქალთა #5 პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც გაესაუბრნენ უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულებს. მსჯავრდებულები არიან ძირითადად შემდეგი ქვეყნების მოქალაქეები: სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი, ბულგარეთი, საბერძნეთი, რუსეთი.

მსჯავრდებულებს აქვთ პრობლემები სასამართლო ხელმისაწვდომობასთან და საჩივრის წარდგენის მექანიზმის გამოყენებასთან დაკავშირებით. კონკრეტულად:

- მსჯავრდებულები არ არიან ინფორმირებულნი საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ. დაწესებულებაში შესახლებისას და მოგვიანებით, მსჯავრდებულებს არ გააცნეს ან არასათანადოდ გააცნეს საკუთარი უფლება-მოვალეობები. პატიმრები დღემდე არ არიან ინფორმირებულნი საკუთარი უფლებების თაობაზე.
- ენობრივი პრობლემის გამო, მსჯავრდებულები სრულყოფილად არ არიან ინფორმირებულნი საკუთარ სისხლის სამართლის საქმესთან და სასამართლო განხილვებთან დაკავშირებით. ხშირ შემთხვევაში, მათ არ იციან სსკ-ის რომელი მუხლით ედებათ ბრალი, როგორ ჩატარდა სასამართლო პროცესები. მსჯავრდებულებს ან არ მიეცათ ან არასრულყოფილად მიეცათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღოთ მათ საქმესთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო განხილვებში.
- მსჯავრდებულთა უმრავლესობის განმარტებით, მათ ისინი სასამართლო პროცესებზე არ იყვნენ კვალიფიციური თარჯიმნით უზრუნველყოფილნი.
- მსჯავრდებულთა განმარტებით, მათ დღემდე აქვთ ადვოკატის ხელმისაწვდომობის პრობლემა. პატიმრებს არ აქვთ მატერიალური საშუალება, დაიქირავონ კერძო ადვოკატი, ხოლო უფასო იურიდიული დახმარების შესახებ ინფორმირებულნი არ არიან.
- მსჯავრდებულები არ არიან ინფორმირებულნი საჩივრის წარდგენის მექანიზმთან დაკავშირებით. ისინი თითქმის არ სარგებლობენ პროკურატურის, სასამართლოს, სამინისტროებისა და სხვა უწყებებისათვის საჩივრის წარდგენის ინსტრუმენტით.
- მსჯავრდებულები არ არიან ან არასათანადოდ არიან ინფორმირებულნი სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობის შესახებ და არ იყენებენ უფლებათა დაცვის ამ მექანიზმებს.

- მსჯავრდებულთა უმრავლესობა ვერ მიმართავს პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით ენობრივი და ადვოკატის ხელმისაწვდომობის პრობლემების გამო.
- მსჯავრდებულთა განმარტებით, ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, სასამართლოში გაასაჩივრონ ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებები პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე უარის შესახებ. პრობლემა გამოწვეულია ენობრივი და ადვოკატის ხელმისაწვდომობის პრობლემებით.

რეკომენდაციები

ქალთა უფლებები

- **შს-სა და მთავარ პროკურატურას**

აუცილებელია, რომ ოჯახში ძალადობისა და ქალთა ძალადობის შემთხვევების დროს, ზედამხედველობა გაეწიოს პოლიციელთა და პროკურორთა მიერ კანონითა და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნების კეთილსინდისიერად და სათანადოდ შესრულებას;

ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებისას, არ უნდა იქნას გამოყენებული გაფრთხილების წერილი, როგორც მსხვერპლის დაცვის ღონისძიება, რასაც სამართლებრივი შედეგები არ გააჩნია;

პოლიციის თანამშრომლებმა უნდა აწარმოონ სათანადო აღრიცხვა იმ ოჯახებისა, სადაც ფიქსირდება ოჯახური ძალადობის ფაქტები, ეფექტური კომუნიკაცია უნდა აწარმოონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებთან, მათი საჭიროებების იდენტიფიცირებისა და განმეორებადი ძალადობისგან დაცვის მიზნით;

შს-სა და პროკურატურის სისტემაში შეიქმნას სპეციალური განყოფილება, სადაც მხოლოდ სპეციალიზებული გამომძიებლები და პროკურორები გამოიძიებენ ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებს;

პოლიციის განყოფილებების უბნის ინსპექტორებმა შესაბამის საზედამხედველო უბნებში რეგულარული შეხვედრები გამართონ მოსახლეობასთან ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით;

პოლიციის განყოფილებების თანამშრომლებმა მათი საზედამხედველო უბნების მიხედვით, მუდმივი კომუნიკაცია იქონიონ იმ ოჯახებთან, რომელთა წევრის მიმართაც გამოცემულია შემაკავებელი ან დამცავი ორდერი შემდგომი ძალადობის პრევენციის მიზნით;

- **საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს**

შეიქმნას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი ქვემო ქართლის რეგიონში და დამატებით, თავშესაფარი თბილისში, სადაც მსხვერპლებს შეეძლება თავშესაფრის სერვისის მიღება;

- **საქართველოს პარლამენტს**

სისხლის სამართლის კოდექსმა ცალკე დანაშაულის სახედ განსაზღვროს ფემიციდი;

შევიდეს ცვლილება საქართველოს კანონში „ბაჟის შესახებ“ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები განთავისუფლდნენ განქორწინების, ბავშვის ადგილსამყოფელის განსაზღვრის და ქონებრივი დავებისთვის გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის გადასახადისგან;

- **საქართველოს უზენაეს სასამართლოს, იუსტიციის უმაღლეს სკოლას და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს**

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო სისტემაში შეიქმნას და გადამზადდეს სპეციალიზებული მოსამართლეების ჯგუფი, რომლებიც მხოლოდ ქალის მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე იმუშავებენ;

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას და პარლამენტს, ქალის გენიტალიების დასახიჩრებასთან დაკავშირებით მისაღები ცვლილებების შესახებ

დროულად განახორციელონ ევროსაბჭოს 2011 წლის სტამბულის კონვენციის - „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ რატიფიცირება, სადაც ცალკე მუხლი ეთმობა „ქალის გენიტალიების დასახიჩრებას“ (მუხლი 38);

გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები გაეროს გენერალური ასამბლეის 2014 წლის 18 დეკემბრის რეზოლუციის (A/res/69/150) იმპლემენტაციისა და შესრულების მიზნით, რათა თავიდან იქნას აცილებული გოგონათა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტები.

უმცირესობათა უფლებები

რეკომენდაციები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებით

- **შს-სა და მთავარ პროკურატურას**

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისას გაატარონ შესაბამისი ზომები სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით;

გადამზადდნენ პროკურორები და გამომძიებლები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტურად გამოძიების მიმართულებით;

რეკომენდაციები ბოშათა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით

- **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს**

გაატაროს შესაბამისი ზომები, რათა ბოშა ბავშვებმა შეძლონ დაუბრკოლებლად ზოგადი განათლების მიღება, სადაც არის საჭიროება, დაინიშნოს უფასო ტრანსპორტი;

შეიქმნას „მომრავი სკოლების“ სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბოშათა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განათლების მიღებას;

რეკომენდაციები პენიტენციურ სისტემაში სასამართლო ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

- **საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს**

პენიტენციურ დაწესებულებაში უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულთა შესახლებისას, უზრუნველყოფილ იქნას პატიმართა სათანადო ინფორმირება მათი უფლება-მოვალეობების შესახებ მსჯავრდებულთათვის გასაგებ ენაზე. ამასთანავე, პერიოდულად განხორციელდეს მსჯავრდებულთა ინფორმირება მათი უფლება-მოვალეობების თაობაზე მათთვის გასაგებ ენაზე;

უზრუნველყოფილ იქნას უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულთა სათანადო ინფორმირება საჩივრის წარდგენის მექანიზმისა და პროცედურის შესახებ მათთვის გასაგებ ენაზე. აუცილებელია, მათ მიეწოდოთ ინფორმაცია სასამართლოს, სამინისტროების, სახალხო დამცველის ინსტიტუტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობისა და მანდატის შესახებ;

პენიტენციურ დაწესებულებებში გამოიყოს შესაბამისი ენების თარჯიმნების შტატები, რომლებიც დროულად და კვალიფიციურად განახორციელებენ მსჯავრდებულთა მომსახურებას;

გატარონ შესაბამისი ღონისძიებები, უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულთა უფასო იურიდიული დახმარების სამსახურთან ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირების კუთხით, რათა მათ გაეწიოთ უფასო იურიდიული დახმარება; აუცილებელია, პენიტენციური დაწესებულების სოციალურმა სამსახურმა მიაწოდოს მსჯავრდებულებს აღნიშნული ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე;

შესაბამის ენებზე მომზადდეს და პატიმრებს გადაეცეთ ინფორმაცია (ბუკლეტები) მსჯავრდებულთა უფლება-მოვალეობების და საჩივრის წარდგენის მექანიზმების შესახებ;

უზრუნველყოფილ იქნას, რომ პენიტენციური დაწესებულების სოციალური სამსახური დაეხმაროს მსჯავრდებულებს შეწყალების განცხადების მომზადებაში;

რელიგიური უმცირესობების უფლებები

- **საქართველოს მთავრობას**

გატარდეს შესაბამისი ზომები, რათა გამარტივდეს და ცალკე აქტით განისაზღვროს ნებართვის მიღების პროცედურა საკულტო თუ სხვა ტიპის ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებით;